განცხადება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე

„ქ. ზუგდიდის გენერალური გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშიზე“ დასკვნა.

როგორც თქვენთვის ცნობილია, როგორც მოგეხსენებათ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და შპს „არტსტუდიო-პროექტ“-ს შორის 2019 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული N 1/19 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „არტსტუდიო-პროექტი“ ამუშავებს ქალაქ ზუგდიდის გენერალურ გეგმასა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმას“.

,,ქალაქ ზუგდიდის გენერალურ გეგმაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N2-389 ბრძანების შესაბამისად, სგშ-ის ანგარიშზე რეკომენდაციების მიღების მიზნით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შესაბამის უწყებებში დააგზავნა წერილები.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 4 აგვისტოს N01/9115 წერილით (შემოსული დოკუმენტი 5028/01 თარიღი: 04.08.2020) მიღებულ „ქ.ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული დოკუმენტის სკოპინგის ანგარიშზე“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ეროვნული ცენტრის დასკვნიდან გამომდინარე (იხ,დანართი), შესაძლოა გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს უკვე შემუშავებულ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიშში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2020 წლის 6 აგვისტოს N01/2766 წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმასა და სგშ-ის ანგარიშზე რეკომენდაციის გაცემის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე. ამასთან, 2020 წლის 3 სექტემბერს, ქ. ზუგდიდში, აღარ გაიმართება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და ზუგდიდის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით დაგეგმილი საჯარო განხილვა.